

„გამტკიცებ“

საქართველოს ძეგლის ეროვნული  
ფედერაცია



## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატი 2008-2010 წლებში დაბადებულ გოგონათა  
შორის

თბილისი

2025  
17 იანვარი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია გოგონებში;
- საქართველოს კადეტ გოგონათა ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

## II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი – საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

## III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაზე დაიშვებიან 2008-2010 წლებში დაბადებული გოგონები. **სხვა წლებში დაბადებული ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.**
- მონაწილეები ვალდებული არიან აწონვის დროს წარმოადგინონ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი ორიგინალი საბუთი – პირადობის მოწმობა, ან პასპორტი.

## IV. შეჯიბრების პირობები, კენჭისყრა, ადგილი, დრო, რეგისტრაცია

- შეჯიბრება ჩატარდება თბილისში, ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- კენჭისყრა ჩატარდება 16 იანვარს აწონვის შემდეგ. ჩამოსვლის დღე – 16 იანვარი, წასვლის დღე – 18 იანვარი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10:00.

### რეგისტრაცია:

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (<http://gif.ge/geo/calendar/georgia>) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2024 წლის 13 იანვრამდე ელექტრონულად შეაგსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 14 იანვარს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებული არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

## V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება გოგონათა შორის 8 წონით კატეგორიაში: -40კგ; -44კგ; -48კგ; -52კგ; -57კგ; -63კგ; -70კგ; +70კგ;

### აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.

16 იანვარი

არაოფიციალური 16:30-17:00.

ოფიციალური 17:00-18:00

## VI. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი, მედპერსონალის ხელფასი, დაცვის მომსახურება და სხვა) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:  
ტელეფონი / ფაქსი: +9952516466;

საკონტაქტო პირი:

გიორგი გვიჩიანი 599885683

ზურაბ უსუფაშვილი 577994407

### **P.S.**

- **შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის საგადაღებულა ლურჯი და თეთრი ფერის კიბანოს ქონა.**
- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- სპორტსმენთათვის დასაშვებია 200 გრამი ზედმეტი წონა. აწონვა მოხდება მოკლე შარვლითა და მაისურით. წარმომადგენლებს მიეცეთ აწონვაზე დასწრების უფლება.

ფედერაციის პრეზიდენტი



ლევან ნოზაძე